პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2022 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №70 დადგენილების შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №48 (234) თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის --- ივნისის
№----- განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი №48

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერი	მისამართი	x	y	
1	№234	ტროტუარი	№03.05.26.139	ქალაქი ქუთაისი, ოცხელის ქუჩა №2, ნაკვეთი №1-1-ის დასავლეთით	309050.33 309049.31	4679814.67 4679812.06	ცალმხრივი

შენიშვნა: ლოტი №48-ით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება (ცალმხრივი) უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 3,00 მეტრ სიგრძეს და ვერტიკალურად 2,00 მეტრ სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. გარე სარეკლამო საშუალების საბოლოო იერსახე შეთანხმებული უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სს ,,ევექსის ჰოსპიტალების“ წარმომადგენლის მომართვები (31.05.2022 წ. N10/4422151343-44 და 15.06.2022 წ. N4422166243-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ოცხელის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ ტროტუარის ნაწილზე სარეკლამო აბრის განთავსებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გარე რეკლამის განთავსება შესაძლებელია განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, კერძოდ: ქალაქი ქუთაისი, ოცხელის ქუჩა №2, ნაკვეთი №1-1-ის დასავლეთით (ს.კ. №03.05.26.139). ამასთანავე, ადგილზე სარეკლამო საშუალება (ცალმხრივი) უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 3,00 მეტრ სიგრძეს და ვერტიკალურად 2,00 მეტრ სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. გარე სარეკლამო საშუალების საბოლოო იერსახე შეთანხმებული უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის №70 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმას (სარეკლამო საშუალების განთავსების ადგილის, გაბარიტული ზომებისა და ფორმის მითითებით) ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ასევე, გარე რეკლამის ნებართვა გაიცემა ელექტრონული აუქციონის ფორმით, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 წლისა და არაუმეტეს 10 წლის ვადით. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების კონკრეტული ვადა განისაზღვრება გარე რეკლამის ნებართვის გაცემის შესახებ აუქციონის გამოცხადების თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი, სარეკლამო საშუალებების 1 კვ.მ.–ზე (ყოველ სანებართვო წელზე) განისაზღვრება 60 /სამოცი/ ლარის ოდენობით.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს განსახილველად წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი